

გადამცემ ქსელთან
მიერთების შესახებ

60-7-117-1503

(CPV - 45231400)

28 ივლისი 2017 წ.

ქ. თბილისი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში „ელექტროსისტემა“ ან „სსე“), წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის სულხან ზუმბურიძის სახით, ერთის მხრივ, და შპს „გარდაბნის თბოსადგური-2“ (შემდგომში „კომპანია“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მერაბ კიპაროძის სახით, მეორეს მხრივ, ერთობლივად მოხსენიებულნი როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე „მხარედ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ასევე „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის N10 დადგენილების შესაბამისად და

იმის გათვალისწინებით, რომ:

- საქართველოს ენერჯეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდეგში „სემეკი“) 2015 წლის 28 სექტემბრის N1/02-5/107-6240 წერილის მოცემული განმარტებების მიხედვით გადამცემ ქსელზე მიერთების საკითხის მარეგულირებელი სრული დოკუმენტაციის კომისიის მიერ დამტკიცებამდე, გადამცემ ქსელზე მიერთების ურთიერთობები (გარდა ქსელის წესების მე-2 თავით განსაზღვრული დებულებებისა) შესაძლებელია დარეგულირდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- სემეკის 2017 წლის 10 მარტის N17/09 გადაწყვეტილება (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) გადამცემ ქსელზე მიერთების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დამტკიცების შესახებ სსე-ს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით არის გასაჩივრებული, ხოლო ქ. თბილისი საქალაქო სასამართლოს მიერ 2017 წლის 4 აპრილს მიღებულია წარმოებაში (სასამართლოს განჩინება N3/2303-17);
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას;

მხარეები შეთანხმდნენ ურთიერთშორის და გააფორმეს ობიექტის გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსე-ს კუთვნილ გადამცემ ქსელზე კომპანიის კუთვნილი ობიექტის - გარდაბნის მუნიციპალიტეტში 230 მვტ სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მიერთების უზრუნველყოფა, რაც მოიცავს:

ა) გაცემული ტექნიკური პირობისა (დანართი N1) და მიერთების სამუშაოთა შესრულებაზე პასუხისმგებლობის განაწილების ცხრილის (დანართი N5) შესაბამისად მიერთების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას და შეთანხმებას. შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაცია დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას დანართი N2-ის სახით;

ბ) საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად ობიექტის გადამცემ ქსელთან მიერთებისათვის საჭირო სამუშაოების განხორციელებას ქსელის წესების და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობისა და პირობების შესაბამისად;

გ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გადამცემ ქსელთან მიერთების დადასტურებას.

1.2. ელექტროსისტემა უზრუნველყოფს გადამცემი ქსელის ოპერირებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.3. ამ ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ამასთან, ხელშეკრულების დანართი N3 (სსე-ს მიერ შესასრულებელ სამუშაოთა წარმოების წინასწარი სავარაუდო გრაფიკი) და დანართი N5 (პასუხისმგებლობების განაწილების ცხრილი) არის სარეკომენდაციო ხასიათის და ექვემდებარება გადასინჯვას, მხარეთა შორის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების ან მის საფუძველზე სამუშაოების განხორციელების პროცესში, იმისდამიხედვით, რა საჭიროებაც დადგება ქსელის წესების მოთხოვნებიდან გამომდინარე, სსე-ს მიერ აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაციის განხილვის თუ განხორციელების ეტაპებზე. შეუსაბამობის შემთხვევაში, დანართ N3-სა და დანართ N5-თან შედარებით, უპირატესი ძალა ენიჭება საპროექტო დოკუმენტაციას, რომელიც დაერთდება ამ ხელშეკრულებას დანართი N2-ის სახით.

2. პროექტის მომზადება და შეთანხმება

2.1 კომპანია ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) თვის ვადაში წარუდგინოს სსე-ს ობიექტის გადამცემ ქსელზე მიერთების პროექტირებისთვის საჭირო წინასწარი საპროექტო დოკუმენტაცია. წინასწარ საპროექტო დოკუმენტაციაში სრულყოფილად უნდა იქნეს ასახული მიერთების სამუშაოების შესრულებისთვის მნიშვნელობის/ზეგავლენის მქონე ყველა საკითხი, გარდა ასაშენებელ ქვესადგურში (შემდგომში ასევე - „საპროექტო 220/11 კვ ქვესადგური“ ან ქ/ს „გარდაბნის თბოსადგური 2“) მიერთების უჯრედების (მათ შორის, აღრიცხვის უჯრედების) მოწყობისა, ასევე ეგ ხაზის ჩაჭრისა და მისი რეკონსტრუქციის ნაწილისა. გადამცემ ქსელზე მიერთების პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია სსე-ში წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე (გარდა საპროექტო ნახაზებისა). კომპანიის მიერ წარმოდგენილი წინასწარი საპროექტო დოკუმენტაცია უნდა ითვალისწინებდეს გადამცემ ქსელზე განსახორციელებელი მიერთების ფარგლებში ასაშენებელი (კომპანიის ელექტროსადგურის გადამცემ ქსელზე მიერთების მიზნით ასაშენებელი 220/11 კვ ძაბვის ქვესადგური) ქვესადგურის:

ა) განლაგების კონფიგურაციას;

ბ) ცალხაზოვანი ელექტრული შეერთების სქემას;

გ) მიერთების უჯრედების განლაგების GPS კოორდინატებს.

2.2. ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი საპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენიდან 4 (ოთხი) თვის ვადაში სსე ვალდებულია შეამოწმოს წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფილება (ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში) და ტექნიკური პირობის მოთხოვნების შესაბამისად შეავსოს იგი მიერთების უჯრედების (მათ შორის აღრიცხვის უჯრედის), I დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტის მოწყობის, ეგ ხაზის ჩაჭრის, კომპანიის ქვესადგურამდე ეგ ხაზის მიყვანის და ჩაჭრილი ეგ ხაზის აღდგენის საკითხებით (შემდგომში ერთობლივად „გადამცემ ქსელზე მიერთების პროექტი“). ამ სახით შედგენილი გადამცემ ქსელზე მიერთების პროექტი გადასცეს კომპანიას.

2.3. კომპანიამ საბოლოო ერთიანი ტექნიკური პროექტი უნდა შეადგინოს ამ ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული გადამცემ ქსელზე მიერთების პროექტზე დაყრდნობით. კომპანია ვალდებულია საბოლოო ერთიანი ტექნიკურ პროექტში სრულყოფილად და უცვლელად ასახოს სსე-ს მიერ ამ ხელშეკრულების 2.2. პუნქტის შესაბამისად მომზადებული გადამცემ ქსელზე მიერთების პროექტი. საბოლოო ერთიანი ტექნიკური პროექტი შეთანხმებისთვის უნდა წარუდგინოს სსე-ს არაუგვიანეს 2018 წლის 31 მაისისა. საბოლოო ერთიანი ტექნიკურ პროექტს თან უნდა ერთვოდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტში 230 მვტ სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვის მე-2 ეტაპზე საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57

დადგენილების შესაბამისად წარდგენილი ყველა სათანადო დოკუმენტი, შეფასება, დასკვნა ან/და ცნობა. საბოლოო ერთიანი ტექნიკური პროექტის ცალკეული დოკუმენტები კომპანიის მიერ სსე-ს შეიძლება წარედგინოს პერიოდულად, ამ პუნქტში მითითებულ ზღვრულ ვადამდე. პერიოდულად წარდგენილი დოკუმენტების შეთანხმება სსე-ს მხრიდან უნდა მოხდეს გონივრულ ვადაში დასმული საკითხის სირთულისა და მოცულობის გათვალისწინებით.

2.4. ელექტროსისტემა ვალდებულია საბოლოო ერთიანი ტექნიკური პროექტის წარდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში შეავსოს წარდგენილი პროექტი სსე-ის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების ნაწილში და შეითანხმოს იგი ან, საჭიროების შემთხვევაში, მისცეს მიერთების მაძიებელს ან გადაცემის ლიცენზიატს კონკრეტული შენიშვნები. ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური პირობის (დანართი N1) მე-19 პუნქტთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება საბოლოო ერთიანი ტექნიკური პროექტის შეთანხმების ეტაპზე მხარეთა ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით. მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებული საბოლოო ერთიანი პროექტი დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც დანართი N2.

2.5. კომპანია უფლებამოსილია სსე-ს შენიშვნები საბოლოო ერთიანი ტექნიკურ პროექტთან დაკავშირებით გაასაჩივროს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ამ შემთხვევაში, გადამცემ ქსელზე მიერთების ვადის დენა და სამუშაოების წარმოება ჩერდება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

3. სამუშაოთა წარმოების წესი და პირობები

3.1. გადამცემ ქსელზე მიერთების სამუშაოებს საკუთარი სახსრებით სრულად ახორციელებს კომპანია, გარდა, ამ ხელშეკრულების 3.2. პუნქტისა და მიერთების სამუშაოთა შესრულებაზე პასუხისმგებლობის განაწილების ცხრილის (დანართი N5) მიხედვით სსე-ს მიერ განსახორციელებელი შესაბამისი სამუშაოებისა.

3.2. ელექტროსისტემა გადამცემ ქსელზე მიერთების ფარგლებში ახორციელებს:

ა) ეგზ „ალავერდის“ ჩაჭრისა და კომპანიის ქვესადგურამდე მიყვანის, კომპანიის ქვესადგურიდან ეგზ გამოსვლისა და ქ/ს „გარდაბანი-500“-მდე არსებული ეგზ „ალავერდის“ რეკონსტრუქციის (გაორჯაჭვიანების) სამუშაოებს, რომელიც, მათ შორის, მოიცავს: ეგ ხაზის კომპანიის კუთვნილ ქვესადგურამდე მიყვანისთვის, ქვესადგურიდან ეგზ გამოსვლისა და ქ/ს „გარდაბანი-500“-მდე არსებული ეგზ „ალავერდის“ რეკონსტრუქციის საჭირო მონაკვეთზე მიწის საკუთრებისა და სხვა საჭირო ნებართვების მოპოვებას, ეგ ხაზის მთლიანობის აღსადგენად საჭირო სახაზო-საკომუტაციო მოწყობილობების შექმნასა და მონტაჟს;

ბ) მაძიებლის ქვესადგურში მისაერთებლად საჭირო უჯრედების, მათი აღრიცხვის კვანძისა და დაცვა-მართვის სისტემის მოწყობას (მონტაჟს);

გ) ქ/ს „გარდაბანი 500“-ში ეგზ „ალავერდი“-ს მონაკვეთის გაორჯაჭვიანებიდან გამომდინარე, დამატებით, ერთი მიერთების უჯრედის (შესაბამისი აღრიცხვის უჯრედთან ერთად) მოწყობას. მოცემული სამუშაოების ფარგლებში სსე-ს მიერ მათ შორის ხორციელდება შესაბამისი სამუშაოების პროექტირება და ამ სამუშაოებისთვის საჭირო ნებართვების მოპოვება;

დ) კომპანიის ობიექტში/ქვესადგურში I დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტის მოწყობას.

3.3 სსე მიერთების სამუშაოების დროული უზრუნველყოფის მიზნით, უფლებამოსილია მის მიერ შესასრულებელი სამუშაოებისთვის საჭირო მოწყობილობების, დანადგარების და სამშენებლო მასალების შეკვეთა განახორციელოს ამ ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული გადამცემ ქსელზე მიერთების პროექტის მხარეთა შორის შეთანხმების შემდეგ.

3.4. კომპანიის კუთვნილი ობიექტის სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ვადებთან წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელ სამუშაოთა გრაფიკის ინტეგრირების მიზნით, წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის სსე-ს და კომპანიის მიერ მიერ შესასრულებელ სამუშაოთა წარმოების წინასწარისავარაუდო გრაფიკი (დანართი N3), რომელიც მხარეთა მიერ შესაძლოა განახლდეს პერიოდულად საპროექტო დოკუმენტაციის (დანართი N2) მომზადების/განხორციელების საჭიროებებიდან გამომდინარე.

3.5 მიერთების სამშენებლო სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების 2.3. პუნქტით გათვალისწინებული საბოლოო პროექტის და სამუშაოთა წარმოების გრაფიკის მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებისა და მათი დანართი N2-ის და დანართი N3-ის სახით წინამდებარე ხელშეკრულებაზე დართვის შემდეგ.

3.6. მხარეები ვალდებული არიან გადამცემ ქსელზე მიერთების სამუშაოები აწარმოონ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების განუხრელი დაცვით.

3.7. შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება 2 (ორი) წლიანი გარანტია.

3.8. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ გამოიყენება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 3¹ პუნქტისა და საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. კომპანია ვალდებულია:

ა) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად აანაზღაუროს გადამცემ ქსელზე მიერთების მეორე ეტაპის საფასური სრულად;

ბ) წარუდგინოს ელექტროსისტემას ამომწურავი ინფორმაცია ქსელზე მისაერთებელი ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ, ასევე, მიაწოდოს ყველა ის მონაცემი, რომელსაც შეიძლება რაიმე სახის მნიშვნელობა ჰქონდეს ობიექტის ქსელზე მიერთებისათვის;

გ) იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ მომზადებულ საბოლოო ერთიან ტექნიკურ პროექტში ასახული მონაცემები და მოთხოვნები წინააღმდეგობაში მოვა ამ ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებულ გადამცემ ქსელზე მიერთების პროექტთან, რომლის შესაბამისადაც სსე-ს ამ ხელშეკრულების 3.2. პუნქტის მიხედვით უკვე დაწყებული ან/და დასრულებული აქვს საჭირო მოწყობილობების, დანადგარების და სამშენებლო მასალების შესყიდვა, კომპანია იღებს ვალდებულებას სრულად აუნაზღაუროს სსე-ს ნებისმიერი დამატებითი ან/და გაზრდილი ხარჯი, ასევე შესაბამისი პროპორციული ვადით (თუ შეუსაბამობის გამო საჭირო ხდება დამატებითი ვადის გამოყენება) გადაწიოს სსე-ს მიერ შესასრულებელ ცალკეულ სამუშაოთა განხორციელების ვადა, ხოლო ასეთი აუცილებლობის არსებობის შემთხვევაში, ასევე, დააკორექტიროს (გაზარდოს) გადამცემ ქსელზე მიერთების ზღვრული ვადა.

დ) განსაზღვროს და წერილობით შეატყობინოს ელექტროსისტემას ამ ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიის მხრიდან პასუხისმგებელი საკონტაქტო პირის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;

ე) უზრუნველყოს ობიექტის ფუნქციონირება და ოპერირება ქსელის წესებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესით და მათ საფუძველზე ელექტროსისტემის მიერ გამოცემული ინსტრუქციების, მითითებებისა თუ განკარგულების შესაბამისად;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, შეითანხმოს სსე-ს მიერ წარმოდგენილი განსახორციელებელ სამუშაოთა წარმოების გრაფიკი და ხელი მოაწეროს მას;

ზ) მიერთების სამუშაოთა დაწყებამდე, მიერთების პროექტის შესაბამისად შეადგინოს განსახორციელებელ სამუშაოთა წარმოების გრაფიკი (გარდა მიერთების უჯრედების და I დონის SCADA-ს საკომუნიკაციო ელემენტის მოწყობის სამუშაოებისა) და შესათანხმებლად წარუდგინოს იგი სსე-ს;

თ) მიაწოდოს სსე-ს სრულყოფილი და უტყუარი ინფორმაცია. ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხს აგებს კომპანია სრულად;

ი) წინამდებარე ხელშეკრულებით ან მის საფუძველზე მხარეთა მიერ შეთანხმებული ანგარიშსწორების გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს ელექტროსისტემას პირგასამტეხლო ვადამოსული ვალდებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

4.2 ელექტროსისტემა ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ობიექტის გადამცემ ქსელთან მიერთების საპროექტო დოკუმენტაციის შევსება ამ ხელშეკრულების 2.2. პუნქტის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს საბოლოო ერთიანი ტექნიკური პროექტის შეთანხმება ამ ხელშეკრულების 2.4. პუნქტის შესაბამისად;

- გ) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უზრუნველყოს გადამცემ ქსელთან მიერთების სამუშაოების წარმოება;
- დ) შეითანხმოს კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა წარმოების გრაფიკი. სსე-ს მიერ შეთანხმებული და მხარეთა მიერ ხელმოწერილი სამუშაოთა წარმოების გრაფიკი დანართი N3-ის სახით დაერთვება წინამდებარე შეთანხმებას, წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და სავალდებულოა შესასრულებლად ხელშეკრულების 1.3 პუნქტის გათვალისწინებით;
- ე) უზრუნველყოს გადამცემ ქსელზე მიერთების დადასტურება კომპანიის მიერ ტექნიკური პირობისა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრულყოფილად შესრულება/დაკმაყოფილების შემთხვევაში;
- ვ) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად და კეთილსინდისური პარტნიორობის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად;
- ზ) ხელშეკრულების 3.7 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ნებისმიერი ხარვეზის აღმოფხვრა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოთა წარმოების მიმართ მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევიდან;
- თ) ხელშეკრულების 6.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში გადაუხადოს კომპანიას პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების მოცულობის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

5. მიერთების მეორე ეტაპის საფასური და გადახდის წესი

- 5.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიერთების მეორე ეტაპის საფასური შეადგენს 5 606 600 (ხუთი მილიონ ექვსასექსი ათას ექვსასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ სსე-ს საბანკო ანგარიშზე. მიერთების მეორე ეტაპის საფასური მოიცავს 4 (ოთხი) მიერთების უჯრედის მოწყობის (აქედან სამი მიერთების უჯრედი ეწყობა კომპანიის ქვესადგურში, ხოლო ერთი მიერთების უჯრედი ეწყობა ქ/ს „გარდაბან 500“-ში), ასევე ეგზ-ს ჩაჭრისა და კომპანიის ასაშენებელ ქვესადგურამდე მიყვანის (ერთჯაჭვა 220 კვ ძაბვის 0.7 კილომეტრი სიგრძის ხაზი) და კომპანიის ასაშენებელი ქვესადგურიდან სსე-ს კუთვნილ ქ/ს „გარდაბანი 500“-მდე 220 კვ ეგზ „ალავერდის“ რეკონსტრუქციის (ორჯაჭვა 220 კვ ძაბვის 3 კილომეტრი სიგრძის ხაზი) საფასურთა ჯამს (დანართი N4).
- 5.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიერთების მეორე ეტაპის საფასური დადგენილი ქსელის წესების პირობების შესაბამისად და მისი ოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ:
- ა) მარეგულირებელი კანონმდებლობის ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც შესაძლებელია გავრცელდეს წინამდებარე ხელშეკრულებაზე;
- ბ) პროექტის ან ნებისმიერ შემდგომ ეტაპზე მხარეთა შეთანხმებით იმ პარამეტრების (ასახულია 5.1 პუნქტში) ცვლილებისას, რომლებზე დაყრდნობითაც განისაზღვრა მიერთების მეორე ეტაპის საფასურის ოდენობა.
- 5.3. მიერთების მეორე ეტაპის საფასური გადახდილი უნდა იქნეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.
- 5.4. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ მიერთების მეორე ეტაპის საფასურის განწილვადებზე. ასეთ შემთხვევაში, მიერთების მეორე ეტაპის განწილვადების შესახებ ცალკე ხელშეკრულება გაფორმებული უნდა იქნეს ამ ხელშეკრულების 5.3. პუნქტით დადგენილ მიერთების მეორე ეტაპის საფასურის გადახდის ოცდლიან ვადაში.
- 5.5. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ ხელშეკრულების 5.3. პუნქტით დადგენილ მიერთების მეორე ეტაპის საფასურის გადახდის ოცდლიან ვადაში არ განხორციელდება არც მიერთების მეორე ეტაპის საფასურის სრულად გადახდა და არც საფასურის განწილვადების შესახებ ცალკე ხელშეკრულების მხარეთა შორის გაფორმება, სსე-ს უფლება აქვს გააუქმოს მიერთების წინამდებარე ხელშეკრულება და მიერთების ტექნიკური პირობა.

6. მიერთების ვადა

- 6.1. სსე-ს კუთვნილ გადამცემ ქსელზე მიერთების (რაც სრულდება დანადგარების ტესტირების წარმატებით დასრულებით და საექსპლუატაციოდ გამზადებით) ზღვრული ვადა არის 2019 წლის 30 მარტი. ამასთანავე მხარეები თანხმდებიან, რომ შექმნიან მათი კომპეტენციის ფარგლებში არსებული

რესურსების იმგვარად გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს მიერთების სამუშაოთა დასრულებას შესაძლოდ მოკლე ვადებში.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ დარღვეული იქნება ამ ხელშეკრულების 6.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადა, მიერთების წინამდებარე ხელშეკრულება გაუქმდება ავტომატურად. მიერთების ხელშეკრულების ავტომატური გაუქმება გულისხმობს, რომ კომპანია ამ ხელშეკრულების ფარგლებში კარგავს უფლებას, რაიმე სახის კომპენსაციის მიღებაზე, გადამცემ ქსელზე მიერთების დასრულებაზე და დადასტურებაზე და იწვევს მიერთების ტექნიკური პირობის (ხელშეკრულების დანართი N1) გაუქმებას. მიერთების ხელშეკრულების ავტომატური გაუქმებით, მოქმედი კანონმდებლობის პირობების გათვალისწინებით, უქმდება ყველა ის უფლება და ვალდებულება რაც მხარეებს ერთმანეთის წინაშე ჰქონდათ ნაკისრი გაუქმებული მიერთების ხელშეკრულებით.

6.3. ამ ხელშეკრულების 6.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში, კომპანიას უფლება აქვს მოითხოვოს მიერთების ზღვრული ვადის გადაწევა და მიერთების ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა. ზღვრული ვადის გადაწევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს სსე არსებული ვითარების, შესაძლებლობებისა და რესურსების გათვალისწინებით. მიერთების ზღვრული ვადის გადაწევასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მხარეთა შორის ფორმდება დამატებითი შეთანხმება, რომელიც წარმოადგენს მიერთების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7. ენა

წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული მიმოწერის წარმოება განხორციელდება ქართულ ენაზე.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები განთავისუფლებულ იქნებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული თავიანთი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მოხდება ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად, მაგალითად: ხანძრის, წყალდიდობის, მიწისძვრის, ომის, ტერორიზმის, მორატორიუმის, ემბარგოს შემოღების, გაფიცვების, ამბოხების, არეულობის და ა.შ. შედეგად და აგრეთვე თუკი ეს გარემოებები უშუალო ზეგავლენას მოახდენენ წინამდებარე ხელშეკრულების ვადაში შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება იმ დროით, რამდენ ხანსაც გრძელდებოდა აღნიშნული გარემოებების და მათი შედეგების მოქმედება.

8.2. მხარე, რომელსაც არ შეუძლია ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს წერილობით მეორე მხარეს ზემოაღნიშნული გარემოებების წარმოქმნისა და შეწყვეტის შესახებ, მაგრამ არაუგვიანეს 10 დღისა მათი წარმოქმნის მომენტიდან. ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში შესაბამისი მხარე კარგავს უფლებას დაასახელოს ისინი მომავალში ხელშეკრულებით განსაზღვრული მათი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზად.

8.3. ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობისა და მათი ხანგრძლივობის სათანადო მტკიცებულებად ჩაითვლება შესაბამისი სავაჭრო პალატის მოწმობა, გარდა იმ გარემოებებისა, რომლებზეც მხარეები თანხმდებიან წერილობით.

8.4. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გარემოებები სამ თვეზე უფრო დიდხანს გასტანს, მხარეები უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, რათა იმსჯელონ ხელშეკრულების შემდგომი შესრულების შესაძლებლობაზე ანდა მის ანულირებაზე. ხელშეკრულების ანულირების შემდეგ არც ერთ მხარეს არ ექნება უფლება მოითხოვოს მეორე მხარისაგან ზარალის ანაზღაურება.

9. დავების განხილვა და სასამართლო

9.1. ყველა დავა და აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც შეიძლება წამოიჭრას წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისას ან/და მასთან დაკავშირებით, მოგვარებულ იქნება მხარეთა შორის შემდეგისდაგვარად მოლაპარაკებების გზით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული, ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება არსებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით (ხელშეკრულების დადების ჩათვლით) და

რომელთა მოგვარება შეუძლებელია ურთიერთმოლაპარაკების გზით, საბოლოოდ განხილულ უნდა იქნას საქართველოს სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით.

9.3. სამართალწარმოების ენა არის ქართული.

9.4. სასამართლოს გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და მას ორივე მხარე უნდა დაემორჩილოს.

10. ზოგადი პირობები

10.1. წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში მოწყობილი მიერთების 4 უჯრედი, აღრიცხვის უჯრედები, ელექტროგადამცემ ხაზში განხორციელებული შეჭრის შედეგად აშენებული და ასევე რეკონსტრუირებული ელექტროგადამცემი ხაზი (ე.წ. შესვლა-გამოსვლა), აგრეთვე I დონის SCADA კომუნიკაციის ელემენტი წარმოადგენს სსე-ს საკუთრებას.

10.2. მხარეებს არა აქვთ უფლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები გადასცენ მესამე მხარეს მეორე მხარის მიერ წერილობითი თანხმობის მიცემის გარეშე. ამავე დროს ელექტროსისტემას უფლება აქვს დაიქირაოს ქვეკონტრაქტორი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ან მისი ნაწილის შესრულების მიზნით. ასეთ შემთხვევებში, ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოზე ელექტროსისტემა ისევე აგებს პასუხს, როგორც საკუთარი ძალებით შესრულებულზე;

10.3. ხელშეკრულება, ასევე ყველა ცვლილება, დამატება, სპეციფიკაცია და მიმოწერა იქნება ძალაში, თუკი მათთან დაკავშირებული ფორმალობები შესრულებულ იქნება მხარეების ხელმძღვანელობის მიერ, რომლებსაც სადამფუძნებლო დოკუმენტების თანახმად უფლება აქვთ ამგვარად იმოქმედონ, ანდა მხარეების სხვა პირების მიერ, რომლებზედაც გაცემულია მინდობილობა ამდგარი ქმედებების შესრულებაზე, რაზედაც მათ მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება ძალაში მყოფი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

10.4. ხელშეკრულება შესრულებულია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

11. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი შესრულების დაწყების თარიღი

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და ქსელთან მიერთების ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების შესრულების ნაწილში მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - გარდა ამ ხელშეკრულების 4.2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 5.5. და 6.3. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. მხარეთა რეკვიზიტები

ელექტროსისტემა
სს „საქართველოს სახელმწიფო
ელექტროსისტემა“

კომპანია
შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“

საიდ. კოდი: 204995176

საიდ. კოდი: 426529759

მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2
სს „თიბისი ბანკი“

მის: ქ. გარდაბანი, 1300, დ. აღმაშენებლის ქ.
№28

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშის ნომერი: GE02TB0600000102467636



სულხან ზუმბურიძე
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/
რეაბილიტაციის მმართველი

მერაბ კიპაროიძე
გენერალური დირექტორი

“გარდაბნის თბოსადგური-2“-ის ელექტროსისტემასთან მიერთების ტექნიკური პირობები

სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”(შემდგომში - “სსე”) წინააღმდეგი არ არის კომბინირებული ციკლის-230 მგვტ სიმძლავრის მშენებარე „გარდაბნის თბოსადგური-2“-ის ელექტროსისტემაში ჩართვა განხორციელდეს შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვით:

1. შეირჩეს ტერიტორია და აშენდეს 220/11კვ ძაბვის, მოთხოვნილი სიმძლავრის შესაბამისი ქვესადგური (შემდგომში „საპროექტო 220/11კვ ქვესადგური“);
2. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურის კვებისათვის შეირჩეს ადგილი და ჩაიჭრას 220კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი (შემდგომში „ეგხ“) „ალავერდი“ (ქს „გარდაბანი 500“ - ქს „ალავერდი 2“);
3. 220კვ ძაბვის ეგხ „ალავერდი“-ის ჩაჭრის ადგილიდან (სომხეთის მიმართულება) საპროექტო 220/11კვ ქვესადგურამდე აშენდეს ერთჯაჭვა 220კვ ეგხ- სიგრძით 0.7 კმ (700 მეტრი);
- საპროექტო 220/11კვ ქვესადგურში მოეწყოს ერთი სახაზო უჯრედი-220კვ ძაბვის ეგხ „ალავერდი“-ის მისაერთებლად;
4. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურში ასევე მოეწყოს 220კვ ძაბვის ორი სახაზო უჯრედი საპროექტო 220/11კვ ქვესადგურში ორჯაჭვა 220 კვ. ეგხ-სათვის (ქ/ს „გარდაბანი-500“ - გარდაბნის თბოსადგური-2-ის დამაკავშირებელი ხაზი სიგრძით 3 კმ.);
5. არსებული ქს „გარდაბანი 500“ -ის 220კვ ძაბვის გამანაწილებელ მოწყობილობაში მოეწყოს ერთი სახაზო უჯრედი, ხოლო 220 კვ. ეგხ „ალავერდის“ არსებული უჯრედი გამოყენებული იქნას 220 კვ. ეგხ-ს ერთი ჯაჭვისათვის, რომელიც დააკავშირებს ქ/ს „გარდაბნის თბოსადგური-2“-ს ქ/ს „გარდაბანი 500“-თან.
6. 220კვ ძაბვის ეგხ „ალავერდი“-ის ჩაჭრის ადგილიდან ქს „გარდაბანი 500“-მდე დემონტირდეს 220კვ ძაბვის ეგხ „ალავერდი“-ის უბნები და არსებული ტრასის გამოყენებით საპროექტო 220/11კვ ქვესადგურიდან ქს „გარდაბანი 500“-მდე აშენდეს 220კვ ძაბვის ორჯაჭვა ეგხ („220კვ საპროექტო ქვესადგური - ქს გარდაბანი 500“);
7. ქს „გარდაბანი 500“-ის 220კვ ღია გამანაწილებელ მოწყობილობაში საპროექტო ხაზების შესვლით გამოწვეული ცვლილებები და სარეკონსტრუქციო სამუშაოები განისაზღვროს პროექტირების დროს;
8. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურის სქემა დაზუსტდეს პროექტირების დროს;
9. ასაშენებელი 220კვ ძაბვის ერთჯაჭვა /ორჯაჭვა ეგხ-ების ტრასა, სადენის ტიპი, მარკა და კვეთი დაზუსტდეს პროექტირების დროს;
10. მიმდებარე ქსელი შემოწმდეს მოკლედ შერთვისა და დატვირთვის დენებზე, საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს სარეკონსტრუქციო აღდგენითი სამუშაოები;
11. გამომდინარე იქიდან, რომ 220კვ ეგხ „ალავერდი“ წარმოადგენს ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემის ხაზს (სომხეთის მიმართულებით), ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემი ხაზის საანგარიშსწორებო და საკონტროლო აღრიცხვის კვანძები უნდა მოეწყოს უშუალოდ ეგხ „ალავერდზე“, სახაზო დენისა და ძაბვის ტრანსფორმატორების გამოყენებით, ამასთან:
 - ა) ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო მრიცხველები უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე ტექნიკური პირობების დანართი #1.1-ში მოყვანილ მოთხოვნებს.

ბ) დენისა ტრანსფორმატორების სიზუსტის კლასი უნდა იყოს 0,2 S, ხოლო ძაბვის ტრანსფორმატორების სიზუსტის კლასი უნდა იყოს 0,2.

გ) დენის ტრანსფორმატორის ტრანსფორმაციის კოეფიციენტი უნდა იყოს სათანადო ტრანსსასაზღვრო გადადინების შესაბამისი.

დ) მე-11 პუნქტის ა, ბ და გ ქვეპუნქტების გარდა ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემ ხაზზე საანგარიშსწორებო და საკონტროლო აღრიცხვის კვანძების მიმართ წაყენებული მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს ქსელის წესების შესატყვისი მოთხოვნების შესაბამისად.

ე) იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო 220/11 ქვესადგურში უნდა მოეწყოს ორმაგი სალტის სისტემა, მაძიებელი უზრუნველყოფს თითოეული აღრიცხვის კვანძისთვის სალტეთა ნებისმიერ სისტემაზე ძაბვის (აღრიცხვის) წრედების ავტომატური გადამრთველების (Bus bar voltage autohomatic selection schime/equipment) ინსტალაციას აღრიცხვის პროცესის შესანარჩუნებლად.

12. ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემი ხაზის გარდა ელექტროენერჯის საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძები უნდა მოეწყოს საბალანსო გაყოფის საზღვარზე ანუ საპროექტო 220/11 ქვესადგურიდან გამავალ ორჯაჭვა ეგზ-ებზე ქს „გარდაბანი 500“-ის მიმართულებით.

13. ელექტროენერჯის საკონტროლო აღრიცხვის კვანძები უნდა მოეწყოს ქს „გარდაბანი 500“-ში შემავალ ორჯაჭვა ეგზ-ებზე.

14. იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე მიზეზით შეუძლებელი გახდება გარდაბნის თბოსადგური 2-ის მიერ სალტეზე გაშვებული ან/და მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობ(ებ)ის განსაზღვრა წინამდებარე ტექნიკური პირობების მე-12, მე-13 ან/და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული აღრიცხვის კვანძების გამოყენებით შედგენილი სქემის პირობებში და ანგარიშსწორება შესაბამისად ვერ იწარმოებს სათანადო სამი, 220 კვ-იანი მინაერთის ელ.ენერჯის აღრიცხვის კვანძების მონაცემებზე დაყრდნობით (220კვ სალტის ბალანსის გამოყვანის გზით), საპროექტო 220/11 კვ ქვესადგურის 220 კვ სალტის ელ. ენერჯის ბალანსის გარდაბნის თბოსადგური 2-ის მიერ სალტეზე გაშვებული ან/და მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობ(ებ)ის დადგენის მიზნით, ელ.ენერჯის აღრიცხვის კვანძები უნდა მოეწყოს საპროექტო 220/11 კვ ქვესადგურის ძალოვანი ტრანსფორმატორ(ებ)ის მაღალ (220კვ) მხარეს.

15. წინამდებარე ტექნიკური პირობების შესაბამისად განმცხადებელმა შეადგინოს წინამდებარე ტექნიკური პირობებით განსაზღვრული ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო და არატრანსსასაზღვრო, საანგარიშსწორებო, საკონტროლო და ტექნიკური აღრიცხვის კვანძების (მათ შორის გენერატორებზე და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებზე, აგრეთვე ტრანსფორმატორების შემყვანებზე Transformer Inlets)) მოწყობის და მათი ზედა დონის ესკაა სისტემასთან დაკავშირების პროექტი და წარუდგინოს სსე-ს შესათანხმებლად, წინასწარ - წინამდებარე ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების დაწყებამდე, ამასთან ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძ(ებ)ი უნდა მოეწყოს საქართველოში მოქმედი ყველა შესატყვისი ნორმატიული აქტის სათანადო მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის (და არა მხოლოდ):

ა) საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2014 წლის 17 აპრილის N10 დადგენილებით დამტკიცებული „ქსელის წესების“ მე-8 თავის (აღრიცხვის წესი) შესატყვისი მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის (და არა მხოლოდ);

ბ) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N434 დადგენილებით დადგენილი ელექტროსადგურების და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების დამტკიცების შესახებ

ტექნიკური რეგლამენტის, მათ შორის (და არა მხოლოდ) 56-ე მუხლით განსაზღვრული სათანადო მოთხოვნების შესაბამისად;

გ) საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2010 წლის 4 ოქტომბრის N52 ბრძანებით დამტკიცებული ელექტროსადგურების და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების, მათ შორის (და არა მხოლოდ) 56-ე მუხლით განსაზღვრული სათანადო მოთხოვნების შესაბამისად;

დ) საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის მიერ 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესატყვისი მოთხოვნების, მათ შორის (და არა მხოლოდ) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული სათანადო მოთხოვნების გათვალისწინებით.

16. აუცილებელი პირობაა, რომ ტრანსსასაზღვრო და არატრანსსასაზღვრო საანგარიშსწორებო და საკონტროლო აღრიცხვის წერტილებში დასამონტაჟებელი ელ. მრიცხველების ზედა დონის ესკაა სისტემასთან დაკავშირებისთვის პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს ორი საკომუნიკაციო არხი (ძირითადი და სარეზერვო). ძირითადი საკომუნიკაციო არხი უნდა იყოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი Ethernet ქსელი, ხოლო სარეზერვო საკომუნიკაციო არხი უნდა იყოს GPRS მომსახურები ტერმინალი/მოდემი.

17. მიმდებარე ქსელში გადამოწმებული იქნას სარელეო დაცვის და ავტომატიკის მოწყობის პრინციპები და მოხდეს დანაყენების ანგარიში;

17.1. პროექტირების დროს მოხდეს თბოსადგური 2-ის ელემენტების რელეური დაცვის და ავტომატიკის დანაყენების ანგარიში.

17.2. აღნიშნული სადგურის სისტემასთან დამაკავშირებელი ხაზები აღიჭურვოს თანამედროვე ტიპის ელეგანური ამომრთველებით, ციფრული დაცვის, მართვის და ავტომატიკის მოწყობილობებით, დაცვის სახეობები და ტიპები პროექტირების დროს შეთანხმდეს სსე-თან.

17.3. „თბოსადგური-2“-ის ელექტრულ სისტემასთან დამაკავშირებელი 220 ელექტროგადაცემის ხაზები აღიჭურვოს დაცვის ორი კომპლექტით.

დაცვის პირველი კომპლექტი:

- დიფერენციალური დაცვა (ოპტიკური კაბელით);
- დისტანციური დაცვა 5 ზონა;
- 4 საფეხურიანი ნულოვანი მიმდევრობის დენური დაცვა, მიმართულებით;
- მაქსიმალური დენური დაცვა, მიმართული;
- ავარიული დენური დაცვა (2 საფეხური ფაზათაშორისო, ორი საფეხური ნულოვანი);
- ამომრთველის უარის რეზერვირება (აურმ);
- სამფაზა განმეორებითი ავტომატური ჩართვა (აგჩ);
- ერთფაზა განმეორებითი ავტომატური ჩართვა (ეაგჩ);
- სინქრონიზმის კონტროლი;
- რყევების დაფიქსირება;
- ასინქრონული სვლის ლიკვიდაცია;
- დაზიანების ადგილის განსაზღვრა;
- გარდამავალი პროცესების პარამეტრების რეგისტრაცია;
- დროის სინქრონიზაცია;

დაცვის მეორე კომპლექტი:

- დისტანციური დაცვა 5 ზონა;

- 4 საფეხურიანი ნულოვანი მიმდევრობის დენური დაცვა, მიმართულებით;
- მაქსიმალური დენური დაცვა, მიმართული;
- ავარიული დენური დაცვა (2 საფეხური ფაზათაშორისო, ორი საფეხური ნულოვანი);
- ამომრთველის უარის რეზერვირება (აურმ);
- სამფაზა განმეორებითი ავტომატური ჩართვა (აგჩ);
- ერთფაზა განმეორებითი ავტომატური ჩართვა (ეაგჩ);
- სინქრონიზმის კონტროლი;
- რყევების დაფიქსირება;
- ასინქრონული სვლის ლიკვიდაცია;
- დაზიანების ადგილის განსაზღვრა;
- გარდამავალი პროცესების პარამეტრების რეგისტრაცია;
- დროის სინქრონიზაცია;

17.4. ქს გარდაბანი 220-ში შეიცვალოს ეგხ „ალავერდზე“ არსებული დაცვის პირველი კომპლექტის რელე. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურთან (“გარდაბნის თბოსადგური 2“) უნდა მოეწყოს კომუნიკაცია ორი მიმართულებით ქს „გარდაბანი-500“-სთან (გარდაბნის 220კვ-ის მართვის ფარი) და გარდაბნის კვთს-თან. კომუნიკაცია უნდა მოეწყოს მინიმუმ 24 ძარღვიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით. ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დამაბოლოვებელი მოწყობილობები თავსებადი უნდა იყოს სსე-ში არსებულ სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებთან. საპროექტო დოკუმენტაცია და ტექნიკური დეტალები შესათანხმებლად წარედგინოს სსე-ს;

18. გამომდინარე იქიდან, რომ 220კვ ეგხ „ალავერდი“ წარმოადგენს ტრანსსასაზღვრო ელექტროგადაცემის ხაზს (სომხეთის მიმართულებით) და ვინაიდან საპროექტო 220/11კვ ქვესადგურში ხდება ალავერდის შეჭრა, ელექტროგადამცემ ხაზზე უნდა მოეწყოს PLC-კომუნიკაცია. საპროექტო დოკუმენტაცია და ტექნიკური დეტალები შესათანხმებლად წარედგინოს სს სსე-ს;

19. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურმა (“გარდაბნის თბოსადგური 2“) უნდა მოაწყოს სადგურის მესამე დონის SCADA-ს სისტემა და უნდა უზრუნველყოს სადგურის ტელეინფორმაციის მიმოცვლა ეროვნულ სადისპეტჩერო ცენტრთან SCADA-ს პირველი დონის ელემენტების გამოყენებით, ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრიდან ენერგეტიკული მოწყობილობების და გენერატორების დისტანციურად მართვისა და რეგულირების მიზნით. ტელეინფორმაციის მოცულობა და ყველა ტექნიკური დეტალი შეთანხმდეს სსე-სთან;

20. სსე-ის მიერ უნდა მოეწყოს SCADA-ს პირველი დონის ელემენტები:

- 20.1. GW მონაცემთა შეგროვებისა და გადაცემის მოწყობილობა სადგურსა და ეროვნულ სადისპეტჩერო ცენტრს შორის ინფორმაციის მიმოცვლის უზრუნველყოფად;
- 20.2. ICON მულტიპლექსორი. გადამცემ ხაზებზე ტელე დაცვების და ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის (ასა)-ს განსახორციელებლად;
- 20.3. L3 დონის სვიჩები. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურის არსებული SCADA-ს ტელეკომუნიკაციის ქსელში ჩასართავად;

21. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურმა (“გარდაბნის თბოსადგური 2“) უნდა უზრუნველყოს აღნიშნული მოწყობილობების განთავსებისათვის დაცული სივრცე მიკროკლიმატით. ასევე საპროექტო 220/11კვ ქვესადგურმა (“გარდაბნის თბოსადგური 2“) უნდა უზრუნველყოს დახმარება GW-ის კონფიგურაციის და ტესტირებების სამუშაოების მიმდინარეობის დროს. საპროექტო დოკუმენტაცია და ტექნიკური დეტალები შესათანხმებლად წარედგინოს სსე-ს;

22. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურმა (“გარდაბნის თბოსადგური 2“) უნდა უზრუნველყოს მინიმუმ ორი ტელეფონით სადგურის მორიგე პერსონალის ეროვნულ სადისპეტჩეროსთან კავშირის

დასამყარებლად. საპროექტო დოკუმენტაცია და ტექნიკური დეტალები შესათანხმებლად წარუდგინოს სსე-ს;

23. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურმა ("გარდაბნის თბოსადგური 2") უნდა უზრუნველყოს SCADA-ს პირველი დონის ელემენტებისათვის უწყვეტი ელ. კვების მიწოდება. საპროექტო დოკუმენტაცია და ტექნიკური დეტალები შესათანხმებლად წარუდგინოს სსე-ს;
24. სადგურებზე არსებულ გენერატორებზე განხორციელებული უნდა იქნეს ძაბვისა და აგრეგატის ბრუნთა რიცხვის ავტომატური რეგულირება;
25. ელექტროსადგური ჩართული უნდა იყოს სიხშირის პირველად რეგულირებაში. სიხშირის რეგულატორს უნდა ჰქონდეს უნარი, რომ სტატიზმის კოეფიციენტი შეიცვალოს $2\% \pm 8\%$ ფარგლებში; სიხშირის პირველადი რეგულირებისას, ელექტროსადგურს უნდა შეეძლოს ნომინალური სიმძლავრის არანაკლებ 12% -ის მომატება/მოკლება 30 წამის განმავლობაში.
26. გენერატორების აქტიური სიმძლავრის ნომინალური კოეფიციენტი უნდა იყოს არაუმეტეს 0.85. გენერატორებს უნდა შეეძლოთ რეაქტიული სიმძლავრის როგორც გენერირება, ასევე მოხმარება ძაბვის რეგულირების მიზნით;
27. ელექტროსადგურის აირტურბინულ აგრეგატს უნდა შეეძლოთ ორთქლტურბინული აგრეგატისგან დამოუკიდებელი მუშაობა;
28. ელექტროსადგურს უნდა გააჩნდეს დისტანციური მართვის შესაძლებლობა;
29. ელექტროსადგურს უნდა გააჩნდეს ნულიდან გაშვების შესაძლებლობა;
30. პროექტირების დროს სრულად უნდა იქნეს დაცული „ელექტროდანადგარების მოწყობის წესები“-ს, „ელექტროენერჯის გამოყენების წესები“-ს და „უსაფრთხოების ტექნიკის წესები“-ს მოთხოვნები;
31. თითოეული აგრეგატის გენერატორის, აღზნების სისტემის, სიჩქარის რეგულირების სისტემის, სისტემის სტაბილიზატორის (PSS) საპროექტო მონაცემები და მათემატიკური მოდელები (PSS/E ან DIGSILENT ფორმატში) უნდა იქნას წარდგენილი შესათანხმებლად სსე-სთვის;
32. წინამდებარე ტექნიკური პირობების საფუძველზე დამუშავდეს თბოსადგურის ელექტროსისტემაში გაშვების დოკუმენტაცია და შესათანხმებლად წარუდგინოს სსე-ს;
33. წინამდებარე ტექნიკური პირობების სრული მოცულობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, სსე იხსნის პასუხისმგებლობას მომხმარებლის საიმედო გარე ელექტრომომარაგებაზე;
34. ობიექტის ელექტრო ქსელზე მიერთება მოხდეს კომისიის მიერ შემოწმებისა და შესაბამისი აქტის გაფორმების შემდეგ;
35. კომპანიამ საპროექტო 220/11კვ ქვესადგურში 220კვ ძაბვის მხარეს უნდა მოაწყოს ორმაგი სალტეთა სისტემა.

ელექტროენერჯის მრიცხველების ტექნიკური მოთხოვნები

1. სიზუსტის კლასი აქტიური ენერჯის მიხედვით: 0.2S,
2. სიზუსტის კლასი რეაქტიური ენერჯის მიხედვით: 0,5÷2;
3. ნომინალური ძაბვა: 3x57,7/100 ვ;
4. ნომინალური (მაქსიმალური) დენი: 5 (10) ა;
5. ორმომართულებიანი გაზომვა/აღრიცხვა აქტიური, რეაქტიული, სრული ელ.ენერჯიების და მაქსიმალური სიმძლავრის მრავალტარიფიან რეჟიმში;
6. სამელემენტიანი (ოთხსადენიანი);
7. არასანქცირებული ჩარევისაგან დაცვა:
 - 7.1. მრიცხველის პაროლი.
 - 7.2. გამომყვანების განყოფილების სახურავის მოხსნის კონტროლი;
8. თვითდიაგნოსტიკის ავტოწაკითხვის შესაძლებლობა;
9. ორმომართულებიანი აქტიური და რეაქტიული ელ.ენერჯიების ჩაწერა, სელექტიური (პროგრამირებადი) ინტერვალით: 1, 5, 15, 30, 60 წუთი;
10. სელექტიური (პროგრამირებადი) 1, 5, 15, 30, 60 წუთიანი ინტერვალით, ტექნიკური პარამეტრების (ქსელის პარამეტრების):
 - ა). გაზომვა, აღრიცხვა, ჩაწერა და შენახვა:
 - ქსელის სიხშირე;
 - თითოეული ფაზის დენი;
 - თითოეული ფაზის ძაბვა;
 - დენის თითოეული ფაზის და ძაბვის თითოეული ფაზის ვექტორული კუთხე.
 - ბ) აღრიცხვა, ჩაწერა და შენახვა:
 - თითოეული ფაზის აქტიური სიმძლავრე, სამფაზა სისტემის აქტიური სიმძლავრე;
 - თითოეული ფაზის რეაქტიური სიმძლავრე, სამფაზა სისტემის რეაქტიური სიმძლავრე;
 - თითოეული ფაზის სრული სიმძლავრე, სამფაზა სისტემის სრული სიმძლავრე;
 - თითოეული ფაზის კოეფიციენტის (სიმძლავრის კოეფიციენტი) მნიშვნელობა;
 - სამფაზა სისტემის კოეფიციენტის (სიმძლავრის კოეფიციენტი) მნიშვნელობა.
11. მეხსიერების მოცულობა:
 - ა) 30 (ოცდაათი) წთ-იანი ინტერვალი ორმომართულებიანი აქტიური და რეაქტიული ელ.ენერჯიების (კომერციული პარამეტრები) შენახვის ხანგრძლივობა - მინიმუმ ერთი (1) კალენდარული თვე (31 კალენდარული დღე);

ბ) 5 (ხუთი) წთ-იანი ინტერვალის მინიმუმ ათი (10) ცალი ქსელის პარამეტრის (ტექნიკური პარამეტრები) შენახვის ხანგრძლივობა - მინიმუმ ცხრა (9) კალენდარული დღე;

12. დამატებითი კვების შესაძლებლობა;

13. მრიცხველთან თავსებადი მრიცხველის დამატებითი კვების ბლოკი, მკვებავი ცვლადი ძაბვით - 220 ვოლტი;

14. ციფრული პორტი, RS-485 და RS-232 ინტერფეისით;

15. „მოვლენათა ჟურნალის“ წარმოება;

16. თავსებადობა „ელსტრეს მეტრონიკა“-ს პროგრამულ უზრუნველყოფა AlphaЦЕНТР-თან;

17. თხევადკრისტალური ინდიკატორის განათების შესაძლებლობა;

18. მრიცხველს უნდა გააჩნდეს დენისა და ძაბვის ტრანსფორმატორების ტრანსფორმაციის კოეფიციენტების შეყვანის, მონაცემების საანგარიშო კოეფიციენტზე გამრავლების და თხევადკრისტალურ ინდიკატორზე ენერგიების გამოტანის საშუალება.

19. მრიცხველი დამოწმებული უნდა იყოს საქსტანდარტის მიერ.

სამუშაოთა წარმოების წინასწარი სავარაუდო გრაფიკი

სსე წარუდგენს კომპანიას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადამცემ ქსელზე მიერთების მიზნით განსახორციელებელ სამუშაოთა წარმოების წინასწარ გრაფიკს მიერთების მეორე ეტაპის სამუშაოთა შემდეგი ძირითადი ფაზების/ეტაპების დასრულების სავარაუდო თარიღების მითითებით:

- ა) სსე-ის საპროექტო სამუშაოები და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად მშენებლობის ნებართვის მიღების მე-2 ეტაპზე წარდგენილი პროექტი სავალდებულო საექსპერტო შეფასებით ქართულ ენაზე (მოიცავს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ექსპერტიზას, ფუძე-საძირკვლებისა და მზიდი კონსტრუქციების ექსპერტიზას და ტექნოლოგიური ციკლის ექსპერტიზას) - სექტემბერი 2017წ - თებერვალი 2018წ;
- ბ) სსე-ის პასუხისმგებლობის ფარგლებში საჭირო მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვება - 2018 წლის დეკემბერი (საბოლოო);
- გ) სსე-ის პასუხისმგებლობის ფარგლებში საჭირო შესყიდვების განხორციელება - სექტემბერი 2017წ-ივლისი 2018წ;
- დ) სსე-ის პასუხისმგებლობის ფარგლებში შემდეგი სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების დასრულება - აგვისტო 2018წ - თებერვალი 2019წ;
- დ.ა) კომპანიის კუთვნილ ობიექტში განსახორციელებელი სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოები - აგვისტო 2018 წ - იანვარი 2019 წ;
- დ.ბ) 220 კვ. ძაბვის ერთჯაჭვა და ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზების სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოები - აგვისტო 2018 წ - თებერვალი 2019წ (ხაზის გამორთვის შემთხვევაში, რომელიც დამოკიდებულია სისტემაში არსებულ რეჟიმზე და სომხეთის მხარესთან შეთანხმება).

სსე-ის მიერ წარმოდგენილ გრაფიკზე დაყრდნობით, კონტრაქტორთან კონსულტაციების საფუძველზე, კომპანია შეადგენს/განაახლებს კომპანიის ობიექტზე განსახორციელებელ სამუშაოთა გრაფიკს და სსე-ს მიაწვდის ინფორმაციას აღიშნული სამუშაოების შემდეგი ძირითადი ფაზების/ეტაპების დასრულების თარიღების მითითებით:

- ა) სსე-სთან შეთანხმებულ ცალხაზოვან სქემას და კომპანიის ქვესადგურში სსე-ს მიერ მოსაწყობი სამი უჯრედის განლაგების GPS-ს კოორდინატებს - არაუგვიანეს 15 სექტემბრისა 2017წ;
